



კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის მედიის სკოლა

| | |
|--------------------------------------|---------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | PR (პიარი) და კომუნიკაცია |
|--------------------------------------|---------------------------|

| | |
|---|----------------------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე | BA in PR and Communication |
|---|----------------------------|

| | |
|---|--------------|
| უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
|---|--------------|

| | |
|--------------------------------|------------|
| საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი | აკადემიური |
|--------------------------------|------------|

| | |
|---------------|---------|
| სწავლების ენა | ქართული |
|---------------|---------|

| | |
|---------------------------------|--|
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი | |
|---------------------------------|--|

| | |
|-----------|-----------------------------------|
| ქართულად: | სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი |
|-----------|-----------------------------------|

| | |
|-------------|-----------------------|
| ინგლისურად: | BA of Social Sciences |
|-------------|-----------------------|

| | |
|------------------------------|------------|
| პროგრამის დამტკიცების თარიღი | 27.09.2014 |
|------------------------------|------------|

| | |
|-----------------------------|------------|
| პროგრამის განახლების თარიღი | 03.06.2019 |
|-----------------------------|------------|

| | |
|--|---|
| პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი | ნატა ასათიანი, ხელმძღვანელი ელენე ჯღარკავა, თანახელმძღვანელი |
|--|---|

| | |
|-------------------------------|--|
| პროგრამის მოცულობა კრედიტებით | |
|-------------------------------|--|

| |
|---|
| <p>PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ I სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი ➢ II სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი ➢ III სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი ➢ IV სასწავლო წელი - 60 ECTS კრედიტი <p>1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი და სხვა), ასევე, მისი დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.</p> |
|---|

სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. აკადემიური წელი არის სემესტრების ერთობლიობა და მათ შორის დასვენების პერიოდი. დამატებით შესაძლებელია ზაფხულის სემესტრის ორგანიზება. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტმა მხედველობაში უნდა მიიღოს ის გარემოება, რომ მას არ აქვს უფლება ერთი სასწავლო წლის განმავლობაში აითვისოს 75 ECTS კრედიტზე მეტი.

240 ECTS კრედიტიდან პროგრამაში გათვალისწინებულია:

- 200 სავალდებულო ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 210 ECTS კრედიტი)
- 40 არჩევითი ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 30 ECTS კრედიტი).

PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო სტატუსის მქონდე ზოგადი და სპეციალობის საგნებისგან; ასევე, არჩევითი სპეციალობის საგნების, სავალდებულო შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტისა და თავისუფალი კრედიტებისგან.

- ზოგად სავალდებულო სასწავლო კურსებს ეთმობა 40 ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან - 50 ECTS კრედიტი). ეს საგნებია:
 - საქართველოს ისტორია
 - ქართული მართლწერა და მართლმეტყველება
 - საინფორმაციო ტექნოლოგიები და მათი გამოყენება
 - აკადემიური წერა
 - თანამედროვე აზროვნების საფუძვლები
 - ეკონომიკა
 - ზოგადი ინგლისური (4 ნაწილი: B1.0 დონიდან B2 დონის ჩათვლით). PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამაზე ზოგადი ინგლისური ენის სწავლებას ეთმობა 2 ან 4 სემესტრი და რეგულირდება - ინგლისური ენის სწავლების შესახებ ბრძანებით. შესწავლის ხანგრძლივობის განმსაზღვრელია სტუდენტის მიერ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ენის კომპონენტში მიღებული შედეგები.
- სპეციალობის სავალდებულო საგნებს ეთმობა 145 ECTS კრედიტი. ეს საგნებია:
 - კომუნიკაციის ფსიქოლოგია
 - სოციალური ფსიქოლოგია
 - რეკლამის ფსიქოლოგია
 - მარკეტინგის საფუძვლები
 - ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია
 - ციფრული მარკეტინგი
 - რეკლამის თეორია და პრაქტიკა
 - ბრენდის შექმნა და მართვა
 - ბრენდის ჟურნალისტიკა
 - მენეჯმენტის საფუძვლები
 - პროექტის მენეჯმენტი
 - მასობრივი კომუნიკაცია
 - ვიზუალური კომუნიკაცია I
 - ვიზუალური კომუნიკაცია II
 - კომუნიკაციის თეორია
 - საზოგადოებასთან ურთიერთობა და სტრატეგიული კომუნიკაცია
 - ურთიერთობები მედიასთან
 - კრეატიული წერა

- საჯარო გამოსვლის ტექნიკა
- პიროვნების ტიპოლოგია და ნეიროლინგვისტური პროგრამირება (NLP)
- დარგობრივი PR1: კორპორაციული კომუნიკაცია
- დარგობრივი PR2: კომუნიკაცია სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში
- დარგობრივი PR3: პოლიტიკური პიარი
- სოციოლოგია
- მონაცემთა ანალიზი და ვიზუალიზაცია
- კვლევის მეთოდები
- პროფესიული სამიზნე ენა (2 ნაწილი ინგლისურ ენაზე), რომელსაც სტუდენტი გადის B2 დონის დახურვის შემდეგ.

➤ სავალდებულო შემაჯამებელი პრაქტიკული პროექტის ეთმობა 20 ECTS

- PR პროექტების დაგეგმვა და განხორციელება

➤ არჩევით საგნებს ეთმობა 40 ECTS კრედიტი (მათთვის, ვინც ინგლისურს იწყებს B1.0 დონიდან, 30 ECTS კრედიტი). სტუდენტს აქვს შემდეგი საგნების არჩევის შესაძლებლობა:

- ღონისძიებების დაგეგმვა და მართვა
- მედია მონიტორინგი
- ლიდერობის ფსიქოლოგია
- ეთნოფსიქოლოგია
- გამოხატვის თავისუფლების მსოფლმხედველობრივი წინაღმდეგობები
- ინტერკულტურული კომუნიკაცია
- მოლაპარაკების ხელოვნება
- ფონდებისა და რესურსების მოძიება
- ადამიანური რესურსების მართვა
- საინფორმაციო ოპერაციები და სტრატეგიული კომუნიკაცია

მეორე უცხო ენა:

- ფრანგული ენა (4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით)
- გერმანული ენა (4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით)
- ესპანური ენა (4 ნაწილის არჩევის შესაძლებლობით: A1.0-დან B1-ის ჩათვლით)

➤ არჩევითი საგნების ნაცვლად სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს თავისუფალი კრედიტების სისტემით:

- მაქსიმუმ 20 ECTS-ით, რომელიც შეუძლია მიიღოს ან კავკასიის უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლაში მოქმედი საბაკალავრო პროგრამებიდან, ან მობილობის დროს აღიარების პროცესით.

PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების ვადაა 4 აკადემიური წელი. ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით, განაგრძოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, საერთო ჯამში, არაუმეტეს 6 აკადემიური წლისა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით ჩაბარება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გამოცდების ეროვნული ცენტრი. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვის ზოგადი წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ კანონით დადგენილ შემთხვევაში.

PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

| | |
|--------------------------------|--|
| <p>პროგრამის მიზანი</p> | <p>პროგრამის ზოგადი კონტექსტი</p> <p>საზოგადოებასთან ურთიერთობები (პიარი) XXI საუკუნეში დღითიდღე უფრო მეტ დატვირთავს იმენს. კომუნიკაციის ამ მიმართულებასთან ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ყოველდღიური შეხება აქვთ მოქალაქეებს. მასზე დიდწილად არის დამოკიდებული სხვადასხვა სფეროში მომუშავე კომპანიების წარმატება, საზოგადოების მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების, ინსტიტუციური რეფორმების ამათუიმ აქცენტით აღქმა.</p> <p>შესაბამისად, კომუნიკაცია, კონკრეტულად კი საზოგადოებასთან ურთიერთობები დღეს ერთ-ერთი ყველაზე საჭირო მიმართულებაა. ამ სფეროს კვალიფიციური წარმომადგენლები, პროფესიის წინაშე არსებული გამოწვევების სრულფასოვანი ცოდნით, ერთი მხრივ, სჭირდება ქვეყანაში დემოკრატიული ღირებულებების დამკვირდების პროცესს, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა სფეროში მოთამაშე აქტორებს, დაწყებული დიდი პოლიტიკითა და გიგანტური ბიზნეს კონგლომერატებით, დასრულებული მცირე ბიზნესით, არასამთავრობო სექტორითა თუ სამოქალაქო აქტივიზმით.</p> <p>კავკასიის მედიის სკოლის PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის პროგრამა მოამზადებს კომუნიკაციის სფეროს ფართო პროფილის მქონე სპეციალისტს, რომელსაც ექნება კარგი ზოგადი განათლება, სოციალური მეცნიერებების კონკრეტული მიმართულებების ცოდნა, სიღრმისეული კომპეტენცია კომუნიკაციის სფეროში და მაღალი დონის პრაქტიკული უნარები, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობების მიმართულებით, ასევე, მის მომიჯნავე სფეროებში. წარმოდგენილი პროგრამის აქცენტები კურსდამთავრებულს საშუალებას მისცემს დასაქმდეს არა მხოლოდ საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში, არამედ მარკეტინგული კომუნიკაციის მიმართულებით, სარეკლამო თუ მედია ინდუსტრიებში და ა.შ.</p> <p>პროგრამას აქვს შემდეგი მიზნები:</p> <p>მიზანი N1: კურსდამთავრებულს ჰქონდეს იმ ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობების არსის ცოდნა, რაც ზოგადად, მოქალაქეს და კონკრეტულად, მასობრივი კომუნიკაციების სფეროს სპეციალისტს აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში; კომუნიკაციების სფეროს გავლენების, მისი სხვადასხვა კონტექსტისა და ამ კონტექსტში საკუთარი, როგორც პროფესიონალი წარმომადგენლის, როლის ცოდნა;</p> <p>მიზანი N2: კურსდამთავრებულს ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება, იცოდეს სოციალური მეცნიერებების საფუძვლები; განსაკუთრებით სიღრმისეულად ერკვეოდეს ფსიქოლოგიის კონკრეტულ მიმართულებებში; ჰქონდეს ცოდნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდის შესახებ და შეეძლოს როგორც კვლევების წარმოება, ასევე, შედეგების ანალიზი;</p> <p>მიზანი N3: კურსდამთავრებულს შეეძლოს ქართულ და ინგლისურ ენებზე</p> |
|--------------------------------|--|

| | |
|--|---|
| | <p>მსჯელობა, მოსაზრებების ჩამოყალიბება, მოსმენა, ანალიზი; ორივე ენაზე ჰქონდეს დისკუსიისა და პრეზენტაციის უნარები, განსაკუთრებული აქცენტით პროფესიულ თემებზე; ჰქონდეს ვიზუალური კომუნიკაციის უნარები, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისად;</p> <p>მიზანი N4: კურსდამთავრებულს შეეძლოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს სპეციალისტისთვის საჭირო მაღალი პროფესიული სტანდარტითა და პროფესიული ეთიკის დაცვით მუშაობა, როგორც სახელმწიფო უწყებებში, ასევე კერძო და საერთაშორისო/არასამთავრობო სექტორებში, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით; ასევე, მუშაობა შეეძლოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროს მომიჯნავე სექტორებში, მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით;</p> <p>მიზანი N5: კურსდამთავრებულს ჰქონდეს სრულყოფილი ცოდნა სტრატეგიული კომუნიკაციის შემადგენელი კომპონენტების შესახებ და ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;</p> <p>მიზანი N6: კურსდამთავრებულს ჰქონდეს მედიის, მისი სხვადასხვა კონტექსტისა და ფორმატის, ახალი მედია პლატფორმების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი; ესმოდეს მედიის, როგორც მედიატორის როლი სტრატეგიული კომუნიკაციის პროცესში და შეეძლოს მასთან მუშაობა: მედიის დაინტერესება, მედიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა და ა.შ.</p> |
| <p>პროგრამის სწავლის შედეგები</p> | <p>PR-ისა და კომუნიკაციების საბაკალავრო საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა ამზადებს სფეროს ფართო პროფილის სპეციალისტს, რომელსაც პროგრამის დასრულების შემდეგ ექნება მისი მიზნების შესაბამისი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>შედეგი 1: ექნება დემოკრატიულ საზოგადოებაში მასობრივი კომუნიკაციის სფეროს სამოქალაქო და სოციალური მნიშვნელობის ცოდნა; გაცნობიერებული ექნება ის ვალდებულებები და პასუხისმგებლობა, რაც ამ პროფესიული ჯგუფის წევრობას თან ახლავს. ასევე, ზოგადად, გააზრებული ექნება საკუთარი მოქალაქეობრივი როლი, დემოკრატიული და ლიბერალური ღირებულებები;</p> <p>შედეგი 2: კარგი ზოგადი განათლების გარდა, ექნება სოციალური მეცნიერებების საფუძვლებისა და ფსიქოლოგიის კონკრეტული მიმართულებების სიღმისეული ცოდნა; ექნება ცოდნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის სხვადასხვა მეთოდის შესახებ და შეეძლება კვლევების წარმოება, მისი შედეგების ანალიზი;</p> <p>შედეგი 3: ექნება ზოგად და პროფესიულ საკითხებზე არგუმენტირებულად მსჯელობის, სხვისი აზრის მოსმენის, დისკუსიის, ანალიზის უნარები; ვერბალური და წერილობითი პრეზენტაციის უნარები, ქართულ და ინგლისურ ენებზე; ასევე, ვიზუალური კომუნიკაციის უნარები: ფოტო და ვიდეოგადაღების, მასალების დამუშავებისა და საჭირო პლატფორმებზე განთავსების უნარები თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით;</p> <p>შედეგი 4: მიიღებს ღრმა და საფუძვლიან ცოდნას საზოგადოებასთან ურთიერთობების, როგორც დარგის შესახებ, ასევე, მასთან დაკავშირებული და მომიჯნავე სპეციალობების: მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით; ექნება</p> |

| | |
|--|--|
| | <p>ცოდნა სფეროსთან დაკავშირებული პროფესიული და ეთიკური სტანდარტების შესახებ;</p> <p>შედეგი 5: კონკრეტული მიმართულებების სპეციფიკის გათვალისწინებით ექნება საზოგადოებასთან ურთიერთობების სფეროში მუშაობის უნარები სახელმწიფო უწყებებში, კერძო და საერთაშორისო/არასამთავრობო სექტორებში; ასევე, მომიჯნავე - მარკეტინგისა და რეკლამის მიმართულებებით. ექნება პოზიციაზე ადეკვატურად და ოპერატიულად მოქმედების, მულტიდისციპლინურ და მულტიკულტურულ გარემოში სწრაფი ადაპტაციის უნარი, სფეროში დაგეგმილი პროექტების ადმინისტრირების უნართან ერთობლიობაში;</p> <p>შედეგი 6: გამოიმუშავებს სტრატეგიული კომუნიკაციის მთელი ციკლის დაგეგმვისა და წარმართვის უნარებს. კონკრეტულად, ექნება სამიზნე აუდიტორიის/ების განსაზღვრის, მათი თავისებურებების შესწავლის და პროცესში გათვალისწინების, სრულყოფილი საკომუნიკაციო გეგმის გაწერის, მართვის/განხორციელებისა და შედეგების შეფასების უნარი;</p> <p>შედეგი 7: ექნება მედიის, როგორც სისტემის ცოდნა; მედიასაშუალებებთან, მის წარმომადგენლებთან თანამშრომლობის პრაქტიკული უნარები; ამ მიმართულებით საჭირო დოკუმენტური და ვიზუალური მასალების შექმნისა და სხვადასხვა საშუალებით, მათ შორის ახალი მედიის პლატფორმებით გავრცელების უნარები;</p> <p>შედეგი 8: შეძლებს დამოუკიდებლად წარმართოს ცოდნის მიღების პროცესი, მოახდინოს თეორიული კომპონენტებისა და პრაქტიკული გამოცდილების სინთეზირება; შეძლებს მოახდინოს დასავლური პროფესიული გამოცდილების ქართულ რეალობასთან ადაპტირება.</p> |
| <p>დასაქმების სფეროები</p> | <p>PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს შეეძლება საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და კომუნიკაციების განყოფილებებში დასაქმება:</p> <ul style="list-style-type: none"> ➢ საჯარო დაწესებულებებში; ➢ კერძო კომპანიებში; ➢ ადგილობრივი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებში. ➢ დამოუკიდებელი სტუდიებში, პიარ და მარკეტინგულ კომპანიებში, სარეკლამო სააგენტოები, მედიის კვლევითი ცენტრები/პროექტებში; |
| <p>სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა</p> | <p>PR-ის (პიარის) და კომუნიკაციების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს განათლების შემდგომ - მაგისტრატურის საფეხურზე.</p> |

| | |
|--|---|
| <p>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა</p> | <p>PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით შემოთავაზებული სასწავლო კურსების დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და</p> |
|--|---|

შემდინილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება.

შეფასების მიზანია იმის გარკვევა, თუ რამდენად არის მიღწეული სასწავლო კურსით განსაზღვრული სწავლის შედეგები. სტუდენტთა შეფასება არის მრავალკომპონენტური და უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმებისა და რუბრიკების გამოყენებით. სტუდენტთა შეფასება ეფუძნება შეფასების ოთხ ძირითად პრინციპს: ობიექტურობას, სანდოობას, ვალიდურობას, გამჭვირვალობას.

სტუდენტთა შეფასებისას გამოიყენება ორი ტიპის შეფასება: განმსაზღვრელი და განმავითარებელი. განმსაზღვრელი შეფასების მიზანია სტუდენტის მიღწევის ზუსტი შეფასება. იგი აკონტროლებს სწავლის ხარისხს, ადგენს სტუდენტის მიღწევის დონეს სასწავლო კურსით განსაზღვრულ მიზნებთან მიმართებით. განმავითარებელი შეფასება სტუდენტის განვითარებაზე მიმართულია. იგი აწვდის სტუდენტს მიღწევებთან დაკავშირებით უკუკავშირს.

შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- ა.ა) (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- ა.ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტს კრედიტი ენიჭება საბოლოო შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს, რომელთათვისაც შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) საბოლოო შეფასებაში განსაზღვრულია ხვედრითი წილი და დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. კერძოდ, მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასების ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი შეფასების - 30 ქულა. შუალედური და დასკვნითი შეფასებების ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. შუალედურ შეფასებებში განსაზღვრულია შეფასების კომპონენტები - ჯამურად 70 ქულა.

შეფასების თითოეული კომპონენტისთვის, შეფასება ეყრდნობა წინასწარ განსაზღვრულ სწავლების მიზანსა და დავალების ფორმაზე ორიენტირებულ, ზუსტ, მკაფიო კრიტერიუმებს და მასზე დაყრდნობით შემუშავებულ შეფასების სქემებს/რუბრიკებს. სწავლების პირველი წლის სასწავლო კურსებში (გარდა B2 დონის ინგლისური ენის) შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 51%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება; სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა

ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 51%. სხვა დანარჩენ სასწავლო კურსებში სტუდენტმა შუალედურ შეფასებებში ჯამურად უნდა დააგროვოს 70 ქულის სულ მცირე 59%, რომ მოიპოვოს დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება. სტუდენტს დასკვნითი/დამატებითი გამოცდა ჩაბარებულად ეთვლება, თუ მან მიიღო 30 ქულის სულ მცირე 60%.

სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს დამატებით გამოცდაზე, თუ იგი ვერ გადალახავს დასკვნითი გამოცდის მინიმალურ კომპეტენციის ზღვარს. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს აკადემიური კალენდრით დადგენილ პერიოდში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.

საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის ან შეფასების რომელიმე ფორმაში (შუალედური/დასკვნითი) მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ვერ გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება F-0 ქულა.

სტუდენტების ცოდნის შეფასებისათვის გამოიყენება როგორც ზეპირი, ასევე წერიტი (ტესტი, ღია კითხვები, კვლევითი ესე და სხვა) გამოკითხვა. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახული იქნება კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. სასწავლო პროცესის დაწყების წინ სილაბუსი იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

PR-ის (პიარის) და მასობრივი კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აღსრულებისას გამოიყენებულია სწავლებისა და სწავლის შემდეგი მეთოდები:

1. **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი:** მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვა. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით, მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.
2. **წერიტი მუშაობის მეთოდი:** ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვა.
3. **ლაბორატორიული მეთოდი მეთოდი:** საკლასო სამუშაოები, ვიდეომასალების ჩვენება და ა.შ.
4. **პრაქტიკული მეთოდები,** როდესაც სტუდენტი შემენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს აქტივობებს: პრაქტიკულ დავალებებს, სავლელ სამუშაოებს და ა. შ.
5. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი:** მსჯელობა მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
6. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების მეთოდი, სტუდენტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, რომელიც მათ საკუთარი აზრის არგუმენტირებულად გამოთქმის, სხვისი აზრის მოსმენისა და კამათის უნარებს უვითარებს.
7. **როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი,** როდესაც ლექციაზე ვითარდება კონკრეტული სცენარი, სტუდენტს კი როლური თამაშები საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს, ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ეს მეთოდიც სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარებს უყალიბებს.
8. **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - მეთოდი, რომელიც გულისხმობს სტუდენტთა მაქსიმალური ჩართულობისთვის მათ ჯგუფებად დაყოფას და ისეთი სასწავლო დავალების მიცემას, რომლის ფარგლებშიც ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს/მის სხვადასხვა კომპონენტს, უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს და პროდუქტს წარმოადგენენ ერთობლივად.

9. **შემთხვევის ანალიზის მეთოდი (Case study)**, როდესაც ლექტორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე კონკრეტულ შემთხვევებს განიხილავს. ეს კი განხილული საკითხის ყოველმხრივ და საფუძვლიანად შესწავლის საშუალებას იძლევა. სტუდენტებს უვითარდებათ ანალიტიკური აზროვნება, გუნდური მუშაობის, ალტერნატიული აზრის მოსმენისა და გაგების, ალტერნატივების გათვალისწინებით განზოგადოებული გადაწყვეტილებების გამომუშავების, მოქმედებების დაგეგმვისა და მათი შედეგების პროგნოზირების უნარები. ^[11]
10. **დემონსტრირების მეთოდი**: გულისხმობს ინფორმაციის აუდიო თუ ვიზუალურად წარმოდგენას. მასალის დემონსტრირება შესაძლებელია მოხდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, თვალსაჩინოს ხდის სასწავლო მასალას და ეხმარება სტუდენტებს იმის აღქმაში, თუ რისი შესრულება მოუწევთ მათ დამოუკიდებლად.
11. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღებისა და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.
12. **ვერსტიკული მეთოდი**, რომელიც ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. პროცესი მიმდინარეობს სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით.
13. **ინდუქციური მეთოდი**: ცოდნის გადაცემის ფორმა, როდესაც სწავლის პროცესი ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ. ^[12]
14. **დედუქციური მეთოდი**: ცოდნის გადაცემის ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმართავს, ანუ პროცესს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. ^[13]
15. **ანალიზის მეთოდი**: სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლა, რაც ამარტივებს რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების აღქმას. ^[14]
16. **სინთეზის მეთოდი**: ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენა, რომელიც ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას. ^[15]
17. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** - მეთოდი, როდესაც პედაგოგი და სტუდენტი აქტიურად არიან ჩართულნი სწავლების პროცესში და როდესაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.
18. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია**: მეთოდი აერთიანებს ისეთ სასწავლო-შემეცნებით ხერხებს, რომელთა გამოყენების დროსაც სტუდენტი მოქმედებს დამოუკიდებლად და შედეგად მიღებულს წარმოადგენს აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. პროექტზე მუშაობა არჩეული საკითხის შესაბამისად მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს. პროექტი შესაძლოა შესრულდეს როგორც ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად, ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. ის შესრულებულად ითვლება, თუ შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. დასრულებული პროექტი შესაძლოა წარედგინოს ფართო აუდიტორიას.
19. **ელექტრონული სწავლება (E-learning)** - მეთოდი, რომელიც გულისხმობს სწავლებას ინტერნეტითა და მულტიმედიური საშუალებებით. სწავლების პროცესის კომპონენტების (მიზნები, შინაარსი, მეთოდები, საშუალებები და სხვა) რეალიზება ხდება სპეციფიკური საშუალებებით. წარმოდგენილ პროგრამაში გამოიყენება ელექტრონული სწავლების მეთოდის “დასწრებული” ფორმა, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პედაგოგისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
20. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** - სწავლების იმგვარი სტრატეგიის მეთოდი, როდესაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მანამდე მუშაობს

თემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

21. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს კონკრეტული საკითხის შესახებ რაც შეიძლება მეტი, რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და მათი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

პროგრამის რესურსები

საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია:

კავკასიის უნივერსიტეტისა და კავკასიის მედიის სკოლის სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი პრიორიტეტია საერთაშორისო ურთიერთობები და ინტერნაციონალიზაცია. პროცესს სკოლასთან ერთად გეგმავს და მართავს კავკასიის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი. ამ მომენტისთვის მოქმედია ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმი - 52 ქვეყნის 111 უნივერსიტეტთან, რომელთა ფარგლებშიც 13 უნივერსიტეტთან გაცვლითი პროგრამებით სარგებლობა შეუძლიათ კავკასიის მედიის სკოლის PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებსაც, რადგანაც ამ კონკრეტულ პარტნიორებს ჩვენ მიერ წარმოდგენილ პროგრამასთან აქვთ გარკვეული თანხვედრა:

1. Savannah State University, აშშ
2. Fairleigh Dickinson University, აშშ
3. Budapest Metropolitan University, უნგრეთი
4. FH JOANNEUM University of Applied Sciences, ავსტრია
5. University of Warsaw, პოლონეთი
6. Riga International School of Economics and Business (RISEBA), ლატვია
7. LCC International University, ლიეტუვა
8. Izmir University of Economics, თურქეთი
9. J.F. Oberlin University, იაპონია
10. Istanbul Bilgi University, თურქეთი
11. Ming Chuan University of Taiwan, ტაივანი
12. The Manilla Times College, ფილიპინები
13. Aurel Vlaicu" University of Arad, რუმინეთი

ბილატერალური საერთაშორისო თანამშრომლობის გარდა, კავკასიის უნივერსიტეტი მონაწილეობს ევროკომისიის მიერ დაფინანსებულ "Erasmus+"-ის გაცვლით პროგრამებში. პროგრამა ითვალისწინებს კავკასიის მედიის სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ინდივიდუალურ მობილობებს 39 პარტნიორ უნივერსიტეტში, ასევე, PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის პროგრამის სტუდენტების მობილობებსაც 9 პარტნიორ უნივერსიტეტში. „Erasmus+"-ის მობილობის პროგრამის ფარგლებში, კრედიტების დაგროვების მიზნით, საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლა შეუძლია სტუდენტს, რომელიც ირიცხება წარმოდგენილი პროგრამის საფეხურებზე და აკმაყოფილებს "Erasmus+"-ში მონაწილეობისთვის დადგენილ მოთხოვნებს. სტუდენტებს უცხოურ უნივერსიტეტში სწავლა შეუძლიათ ერთი ან ორი აკადემიური სემესტრის (5/10 თვის) განმავლობაში. იხილეთ „Erasmus+"-ის იმ პარტნიორთა ჩამონათვალი, სადაც შესაძლებელია გაცვლები კავკასიის მედიის სკოლის PR-ის (პიარის) და კომუნიკაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის:

1. Budapest Metropolitan University, უნგრეთი
2. Aristotle University of Thessaloniki, საბერძნეთი
3. National University of Political Studies and Public Administration, რუმინეთი
4. Babes-Bolyai University, რუმინეთი

5. Turiba University, ლატვია
6. Koc University, თურქეთი
7. SMK University of Applied Social Sciences, ლიეტუვა
8. LCC International University, ლიეტუვა
9. Kauno Kolegija/ Kaunas University of Applied Sciences, ლიეტუვა

კავკასიის უნივერსიტეტში ყველა დაინტერესებული პირი ინფორმირებულია როგორც ბილატერალური, ასევე, “Erasmus+”-ის ფარგლებში არსებული შესაძლებლობებისა და მათი გამოყენების წესების შესახებ.

კავკასიის მედიის სკოლა არის საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია „Youth4Media“-ს წევრი (მიუნსტერი, გერმანია), რომლის პროექტების ფარგლებშიც სტუდენტები მონაწილეობას იღებენ პროფესიულ საერთაშორისო პროექტებში.

პარტნიორები:

კავკასიის უნივერსიტეტში მუშაობს კარიერული განვითარებისა და დასაქმების ხელშეწყობის სამსახური, რომლის მიზანია, უნივერსიტეტის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ინფორმაცია მიაწოდოს ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების საჯარო და ექსკლუზიური ვაკანსიების შესახებ, ხელი შეუწყოს მათ პროფესიულ-კარიერულ წინსვლას, განვითარებას.

კავკასიის უნივერსიტეტს თანამშრომლობის მემორანდუმი აქვს გაფორმებული 105 პარტნიორთან. მათ შორის დამსაქმებელ სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კერძო კომპანიებთან. მემორანდუმები ეხება სტუდენტების სტაჟირებასა და დასაქმებას. ამ მემორანდუმების ფარგლებში კავკასიის უნივერსიტეტის დასაქმების ცენტრი მუდმივად იღებს პარტნიორებისგან შეთავაზებებს, აწვდის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს დამსაქმებელთა წინადადებებს, ეხმარება პარტნიორებს კადრების შერჩევაში.

დამატებით, კავკასიის მედიის სკოლას თანამშრომლობის მემორანდუმები აქვს გაფორმებული ისეთ კომპანიებთან და PR სააგენტოებთან, სადაც სტუდენტებს სტრატეგიულ კომუნიკაციაში და მომიჯნავე მიმართულებებში შეუძლიათ პრაქტიკის გავლა. პარტნიორთა შორის არიან:

- “სან პეტროლიუმ ჯორჯია”
- რისკების მართვისა და სადაზღვევო კომპანია “გლობალ ბენეფიტს ჯორჯია”
- “ას ჯორჯია”
- “ივენთშოპი”
- “ინოვა”
- “აიდიეს ბორჯომი საქართველო”
- “ანაგრამა”
- “ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია”
- “პერიტუს გრუპი”
- პიარ სააგენტო “ფაბლისითი გრუპი”
- სარეკლამო სააგენტო “BetterFly”
- პიარ სააგენტო სსიპ “სტრატეგიული კომუნიკაციის ცენტრი”
- სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი2”
- “ტვ პირველი”
- ტელეკომპანია “მაესტრო”
- “რადიო თავისუფლება”
- “არტარეა ტვ”
- “პალიტრა TV”
- სტუდია “რე”
- რადიო “უცნობი”

- რადიო “პალიტრა” (შპს “ნიუსრუმი”)
- სააგენტო “ინტერპრესნიუსი” (შპს “ახალი ამბები”)
- ნეტგაზეთი
- გაზეთი “კვირის პალიტრა”
- გაზეთი “ბათუმელები”
- გამოცემა “ლიბერალი”
- საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია
- ჟურნალი “სითი”

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

მატერიალური ბაზა

კავკასიის უნივერსიტეტმა 2017-18 სასწავლო წელს საგანმანათლებლო საქმიანობა განაგრძო მის კუთვნილ ახალ შენობაში, რომელიც მდებარეობს თბილისში, პაატა სააკაძის N1-ში. შენობის ჯამური ფართი შეადგენს 11.179 კვ.მ.-ს, საიდანაც 5.021 კვ.მ. სასწავლო ფართია. აღნიშნული შენობის სარემონტო სამუშაოებსა და ახალი ინვენტარით აღჭურვაში, ასევე, ეზოს გამწვანებასა და მოწყობაში განხორციელდა 12 მლნ ლარის ინვესტიცია. უნივერსიტეტის შენობაში გამოყოფილია შემდეგი სავალდებულო ფართები: 63 აუდიტორია, 170 კვ.მ.-მდე ფოეი, საკონფერენციო დარბაზი, სარეკრეაციო სივრცეები, ადმინისტრაციული სივრცეები, და სათავსოები, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული კვანძები, ბიბლიოთეკა (265 კვ.მ.), ლაბორატორიები, არქივი, 2 კაფეტერია (380 კვ.მ.). აღნიშნული უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. კავკასიის მედიის სკოლას დამატებით აქვს სტუდია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით (დეტალები ქვემოთ).

